სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი - შემოდგომის ლეგენდა 2014

გეომეტრიული კონცეფცია

შემოდგომის ლეგენდის მონაწილეები ლიტერატურული პრემიების ლაურეატები და წიგნის ავტორები არიან, მათი მოთხრობების მიხედვით შეიქმნა რადიოსპექტაკლი და გადაიღეს ფილმი. განსხვავებული გარემო, ახალი სახეები და სახელები - დროა დატოვო შენი ხელწერა კონკურსის ისტორიაში.

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი მასშტაბებს ზრდის. ლეგენდა უკვე მეექვსედ ჩატარდება და მასში წელს, თბილისთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ჩაერთვებიან.

თუ ხარ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, თუ გიყვარს ლიტერატურა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კომპანია „ჯეოსელი" გთავაზობთ სტუდენტურ ლიტერატურულ კონკურსს „შემოდგომის ლეგენდა".

შენი აღმოჩენის დროა!

გეომეტრიული ფიგურები ბუნებას ერწყმის და მთის კალთებზე ახალი ჰორიზონტი იქმნება. წელს ლეგენდას ილიას მთაზე მდებარე საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი უმასპინძლებს. ადგილი, რომელიც თანამედროვე დიზაინით და გაშლილი სივრცით გამოირჩევა. გაატარეთ შემოდგომის ორი დაუვიწყარი დღე კახეთში, გააცოცხლეთ თქვენი ლიტერატურული გმირები და გააცანით ისინი მთელ საქართველოს.

*ლიტერატურული კონკურსი სტარტს **15 სექტემბერს** აიღებს და ორ ეტაპად ჩატარდება:*

I ეტაპი – შიდაშესარჩევი ტური

მონაწილეობის მსურველებმა, 12 ოქტომბრის ჩათვლით, კონკურსის ელ.ფოსტაზე – shemodgomis-legenda@tsu.ge უნდა გამოაგზავნოთ:

- **პროზაული ნაშრომი (ან ნაწყვეტი) ნაბეჭდი სახით, არანაკლებ ერთი და არაუმეტეს სამი თაბახის გვერდისა; ჟანრი და თემა შეუზღუდავია.**
- **შევსებული ანკეტა http://www.tsu.edu.ge/ge/mainnews/nuAHFloro1tEHgJzQ/**

უნივერსიტეტის ჟიური შიდაშესარჩევ ტურში გამოავლენს **10 საუკეთესო კანდიდატს**, რომლებიც მეორე ტურში გადაინაცვლებენ და მთავარი კონკურსის – იმპროვიზაციული ტურის მონაწილეები გახდებიან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფულად პრემიას და კომპანია „ჯეოსელის" პრიზებს გამარჯვებული სამეული მიიღებს:

I ადგილი – 1000 ლარი და კონკურსის სიმბოლო
II ადგილი – 700 ლარი
III ადგილი – 500 ლარი